საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 34/ს
25/03/2021

34-21-4-202103251742

„საჯარო სამარათლის იურიდიული პირის-გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამარათლის იურიდიული პირის შესახებ „საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 2018 წლის 19 აპრილის N2-255 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 24 მარტის N 2883/01 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართით გათავლისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები (დანართი N1);

2. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 1 მარტიდან;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 2 აპრილის N44/ს ბრძანება;

4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს ამ ბრძანების სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსება;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ N6) კანონმდებლობით დადგენილ ერთი თვის ვადაში.

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო